რე, რაც გინდა, და ყველაფერი აგისრულდება!

აღრე მართლა არ ვიცოდი, ამ კითხვაზე როგორი პო-  
სუბი უნდა გამეცა. მაგრამ ახლა, როცა ჩემი დღიური ამ  
უცნაური ჩაბაწერებით ავისო, როცა სიხარულის ქალაქ-  
ში ყველამ გავიგო ნიუინ ლან ხანის, ხაიმე კოფოსონისა და  
ემტრებუა მორენოს მეგობრების ამბავი, მე ვიცო, როგო-  
რი პასუხი უნდა გავცე ამ შეკითხვაზე.


და თუ ვინმე მართლა მოვა ჩემთან, პატარა ნატურის-  
თვალს გამოიწვიდის და მეტყვის:

— აი, მეგობარო, ნატურისთვისლი მოგიტანე. რასაც  
ინატრე, ყველაფერი აგისრულდება. თქვი, რას ინატ-  
რებ?

მე უყოყმანოდ ვუპასუხებ:

— რას ინატრებ? ნატურისთვისლით სავეს დიდ ყუ-  
ლბას!





ლ. ლუშაბაძის სიხე.  
XVI-XVII სსსს.

# ლაშქრობა ხეკში

არავენი-  
არავენიანი

საქართველოს სამხედრო გზაზე ბევრ რამ საინტერესო ვნახე, რასაც, სკოლაში რომ დაებრუნდები, გეოგრაფიის წრის წევრებს მოგუხუციები. მცხეთის შემდეგ არავენი ხეობაში ვიარეთ. ენებალთან დიდ არავეს ფშავის არავეი უერთდება, ვაჟა-ფშაველას შშობლიურ ჩარგალს რომ ჩამოუდის. ფსანაურთან კი, გუდამაყრის ხეობაში მომავალი შავი არავეი თეთრ არავეს ერწყმის. შავი არავეის სათავე, ჟიუხეში იწყება, სადაც შავი ფიქალი და ქვიშაქვა ადვილად იშლება და მდინარეს შავ ფერს აძლევს. თეთრი არავეი კი, რომელსაც ჩვენ მსოფლივ ავეყვით, კავკასიონის მწვერვალ ნეფის კალაზე იღებს და საწყისს, მღვიმის აღმართი კიშპარის ველზე მიიქლანება. კავკასიონის უღამაზესი გადასავალი 2395 მ-ის სიმაღლეზეა. აქ, ჯვრის გადასავალთან, ცაში აზილული მწვერვლებია, ნის-ლში გახეულ, მწვეანე ბალახიან ფერდობებზე ალაგ-ალაგ კიდევ შე-მორჩენილა თოვლი. გადასავლიდან 10 კმ-ის გავლის მერე სოფელ კობ-თან ამოვედით. აქ თრუსის ხეობიდან მომავალი მდინარე თერგი ჩრდილოეთისკენ იქცევის პირს და დარაილის ხეობით ჭერ ჩრდილო ოსეთზე და მე-

რე კასპიის ზღვისკენ მიემართება. თერგის გასწვრივ გაშენებულია მოხევეთა სოფლები.

ნიმნლი ზანკაძეძამი,  
140-ე საშუალო სკოლა.

## საგვიან შმა

ავგისრულდა ოცნება, ავედით სამების მთაზე. მისი სიმაღლე ზღვის დონიდან 2150 მ-ია. მთაზე მისას-ვლელი ბილიკი სოფელ გერგეტის ბოლოს იწყება. ჭერ ბალახოვან ფერ-დობს მიეყვებით, შემდეგ კი, საცმა-ოდ მძიმე ამბარით გავიარეთ და გზამ ბატარა ტყეში შეგვიყვანა. წარსულ-ში ეს ტყე ხატის ტყედ ყოფილა გამოცხადებული, ამიტომ აქ ხეს არავინ სჭრიდა. ტყის შემდეგ ისევ ბალახო-ვან ფერდობზე ვადვით და დასავ-ლეთიდან მივადექით დიდ მინდორს, რომლის ბოლოს, ახალდებულ დე-ვილზე, სამების ტაძარი დგას. დიდე-ბული სურათი გადაიშალა ჩვენს წინ: ქვევით მდინარე თერგი, ყაზბეგი და სოფელი გერგეტი, მალა ყურის კლდოვანი მთები, თოვლი დაფარე-ლი მწვერვლები, რომელთაგან რე-მოირჩევა ყურის წვერი და შინი.

ნიმნლი რამიშვილი.

## საგვიან შაპანი

სამების მთიდან შხიან ამინდში ხე-ლისგულივით მოჩანს მყინვარწვერი,

აბანოს მყინვარი, ორწვერი. ამ მთაზე მდებარეობს ხეკში ერთადერთი გუმ-ბათიანი სამების ტაძარი სამრეკლო-თი, ტაძარი XIII საუკუნის დასას-რულსა და XIV საუკუნის დასაწყის-შია აშენებული, ხოლო მისი სამრეკ-ლო — XVI საუკუნეში.

ტაძარი შემკულია ძველი ქართუ-ლი ჩუქურთმით, მისი ხის კარები ლი-თონის ფირფიტებით და რკინის ლურსმნებით არის მოქმედილი.

ტაძარი და სამრეკლო მტრის მიერ რამდენჯერმე იქნა დაწვრიული, შემ-დეგში კი კვლავ იქნა აღდგენილი.

სამების ტაძარი ხევის უხუცესთა ბჭობის ადგილი იყო, მას უღამაზესი მდებარეობა აქვს მყინვარწვერის ფონზე.

შ. ჯანაშიძე,  
28-ე საშუალო სკოლა.

## „სხვისი პაპარატი“

სამების მთიდან მყინვარწვერი ისე ახლოს ჩანს, თითქოს საცმარისია აირ-ბინო შენს წინ მდებარე აღმართი და მის ფერდობზე აღმოჩნდებო. ნამ-დვილად კი მასზე ასვლა აქედან ორი-სამი დღე სჭირდება. მყინვარ-წვერის სიმაღლე 5077 მეტრია ზღვის დონიდან. 1923 წელს მასზე პირვე-ლად ქართველ მთამსვლელთა ორი ჯგუფი ავიდა, რითაც საფუძველი ჩა-ეყარა საბჭოთა მთამსვლელობის და-წყებას. მყინვარწვერზე ასასვლელად რამდენიმე გზა არსებობს.


ამ შინდვრიდან იწყება ბილიკი, რომელიც ჭერ მიდის ბალახოვან, ალ-ბური მცენარეულობით დაფარულ ფერდობზე გერგეტის ანუ ორწვერის მყინვარამდე, იქიდან კი გადადის მყი-ნვარზე. 3700 მ სიმაღლეზე მდებარეობს მეტეოროლოგიური სადგური. იქიდან ხდება ასვლა მყინვარწვერ-ზე, ორწვერზე, მაილზე, სასარკაჯე-დღებულ სანახავია მყინვარწვერი, რომელიც სულ ნისლითა გახეველი. მხოლოდ იშვიათად თუ გადაიხლის ლეჩაქს „ხევის პატარადა“.

რამი კალაშაძე,  
128-ე საშუალო სკოლა.

## სარგმ რივაპულს მთას მყინვარსა...

მყინვარწვერის ფერდობზე 4100 მეტრის სიმაღლეზე მთამსვლელობა 1948 წელს აღმოაჩინეს ფრანკო კლემში გამოკეცილი გამოკვაბული


\* დასარჩული. დასაწყისი იხ. გარეკ. მე-2 გვ.



ხის კარებით და რკინის ჯაჭვით, რომლის საშუალებითაც შეიძლება დამოქვავებულში შეღწევა. ეს კარები ლითონის ფირფიტებით არის შექმნილი. რკინის ჯაჭვი და დამოქვავებულში ნაბოხნი ნივთები: ხატი — დროშა (რომელიც მეცნიერებმა XI-XII სს. დაათარიღეს), ბრინჯაოს შანდლის ძირი, სხვადასხვა დროის ფული, ისრის წვერები და სხვა ნივთები დავათვლიერეთ ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

თვალწინ გავციოცხლდა ილია ჭავჭავაძის „განდგომი“ აღწერილი მყინვარწყვი და მისი მიდამოები. „სადაც იდღებულს მთას მყინვარსა“...

ვახტანგ მუსხლიშვილი,  
61-ე საშუალო სკოლა.



ყაზბეგი ჩემი სამშობლოა, მაგრამ მიყვარს ჩემი მთები, რომელიც დაბა ყაზბეგს დასცქერის თავს.

ყაზბეგში, ჩოფიკაშვილის საგვარეულო სასახლეში, ალექსანდრე ყაზბეგის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენაა, აქვე მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. ყაზბეგში ცოცხლა შემორჩა ძველი მონეტური კოშკები და სახლები. ახალმა ლამაზმა ნაგებობებმა დაამშვენეს აუარობა. აიგო რაიკომისა და აღმასკომის შენობა, სასტუმრო, სკოლა-ინტერნატი, შენდება კულტურის სალი, ტურბანა და სხვ.

ყურის ძირში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალბინარიუმია, სადაც თამოყონილა ალპური და სუბალპური ზონის მეცნარეულობა, აქვე საცდელი ლაბორატორიები.

ყაზბეგში გაღის საქართველოს სამხედრო გზა. მის ახლოს იწყება საქვეყნოდ განთქმული დარიალის ხეობა მაღალი კლდეებითა და თერგით. ყაზბეგს თავს დაპყურებს ხევის მშენებელი მყინვარწყვი და სამების მთა.

ვახო აფხიაშვილი,  
140-ე საშუალო სკოლა.



ყ ა ზ ბ ე მ



ს ა მ შ ა მ ს ტ ა ბ ა რ ი

აქვს ჩანჩქერი

სოფელ არშიდან კარგად ჩანს მყინვარწყვილის ორივე კონუსი. თერგზე გადებული ხილით მდინარეს მარცხენა მხარეს მოვექეცით. ჩვენს წინ არის ლამაზი ჩანჩქერია, რომელიც დასაწყისს მყინვარში იღებს. მის მახლობლად კლდეზე და მის ძირში უზარმაზარი ანდზიტის ლიდეებია, რომლის დამუშავება და გატანა აქედან ხდებოდა, სანამ ბაზამ ბაკურიანთან არ გადაინაცვლა. ანდზიტის ქვას დიდი გამოყენება აქვს მრეწველობაში. ძლიერ გადავედით წყალზე, რომელმაც ავღრის შემდეგ აუარობა დაფარა. ვნახეთ ძალიან საინტერესო მონეტური წისქვილები, უძველესი სოფელი ფანშეტი თავისი სათვალთვალო კოშკით და მინერალური წყლა „ყაზბეგის“ ჩამოსხმა.

არჩილ ხაშიაშვილი,  
58-ე საშუალო სკოლა.

სიონის ბაზილიკა

კლდოვან მწვერვალ „ქაბარჯინას“ ძირში, რომელიც ქაჭეთის ციხეს მოვავაგანებს, სოფელი სიონია. ქედზე შესანიშნავი აქოჩრილი ტყეა, ქედის ბოლოს საღუშავო კოშკი და სიონის



# ნიკოლოზ ჩხეიძე

კომში, კომარა“ გამოსცა. ნორჩ მკითხველს განსაკუთრებით იზიდავს პოეტის მსუბუქი იუმორი. ლექსები: „რა კაცია ნიქფორი“, „ტუბანია“, „ჩაჩულია“, „ბაქია მამალი“ არა მარტო დიმილს ჰგვრიან მას, არამედ პეკუასაც ასწავლიან, ჩაჯოგებენ იმას, რომ ის ყოველმხრივ სანიმუშო უნდა იყოს, როგორც თავისი ჩაცმა-დახურვით, ისე საქციელით და საქმიანობით. პოეტი მოზარდს უღვივებს სოციალისტური სამშობლოს სიყვარულის, მისი საკუთრების დაცვის გრძნობას, რაც აუცილებელი თვისებაა საბჭოთა ადამიანისათვის.

„ჩემი მეზობელი, კლასში რომ დავს, ის ხომ მთელი სკოლის არის, სკოლა მთელი ხალხისაა, ხალხისაა სკოლის ზარიც.“

ეს ფაბრიკა,  
ეს ქარხანა,  
პურის ყანა,  
დიდი ზეარი —

ყველაფერი ხალხის არის...“  
ყველაფერი ხალხის არის...



ურჩალო „პიონერის“ რედაქცია, საჩრდაქციო კოლეგია და მისი მრავალთახიანი ნორჩი მკითხველი გულითადად ულოცვენ მსოფლიო პოეტს ამ სახელოვან იუბილეს. უსურვევენ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

პოეტ ნიკოლოზ ჩხეიძეს დაბადების 70 წელი შეუსრულდა.

ნ. ჩხეიძის დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის განვითარების საქმეში. გამოცემული აქვს საბავშვო ლექსების, პოემების და ზღაპრების ათამდე წიგნი, რომლებსაც თავისი წვლილით შეაქვთ ნორჩი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდაში.

ახლახან „ნაკადულმა“ პოეტის კიდევ ერთი ახალი კრებული „კომში,

ბაზილიკა (უგუმბათო ეკლესია) დგას. ამ ეკლესიისა და კომეის სურათი ბევრჯერ მინახავს, ახლა კი ჩემი თვალთ ვხედავ.

სიონის ბაზილიკა IX საუკუნეშია აშენებული, აქვეა სამარტლო, რომელიც უფრო გვიანდელი ხანისაა. მწვერვალის ძირში ქართლსაგან გამოტვირთული ისეთი საოცარი ფორმის

ფიგურები ვხედავ, გეგონება, ადამიანის ხელით არის გამოკვეთილი.

დათო ნათაძე,  
58-ე საშუალო სკოლა.

## სნოს ხეობაში

სნოს ხეობა ზედ საქართველოს სამხედრო გზასთან იწყება. პირველი სოფელი ანტობია. ჯერ კიდევ შორი-

დანვე კარგად მოჩანს ლულუშური-ანთ ანუ სნოს ციხის სილუეტები. ფართო ხეობაში მდინარე სნო მიედინება, რომელსაც ხეობის დასაწყისშივე მშობოთვარე ჭუთის წყალი უფრთლდება. მარჯვენე კი გზა მილის ბურსაკურის გადასავალისაკენ. გარემოში ალპური ყვავილების გამაბრუებელი სურნელება დგას. მწვანე ხასხასა ფერდობები თითქოს გვეპატრიებიან დასასვენებლად. აქა-იქ მთის კორწო-ხეხე თეთრი ჭვრები დგას, ხატად წოდებული. ყოველ მათგანს თავისი დღესასწაული აქვს. თვით სოფელი სნო ძალიან ლამაზია. შავი ფიჭვით ნაშენი ორსართულიანი სახლები, ქუჩებში ანკარა წყლის რუბეი... ჩვენ მას ხევის „ვენიცია“ შეგარქვით. სნოს ციხე კლდეზეა აგებული და ძალიან ლამაზი სანახავია. ციხე ალაგ-ალაგ გაბზარულია. როგორც აგვისონეს, ის შუა საუკუნეებში ვინმე შიოლა ლულუშურს აუგია. ამ ციხეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხევის ცხოვრებაში. სნოში მთელი დღე დავყავით სკოლის გზოში. აქ გავიცანი ადგილობრივი მოსწავლეები მარსა-გივილები, ყამარაულები, გელაშვილები. მათთან ერთად ჩვენმა ბიჭებმა ფეხბურთი ითამაშეს.

სიონი კაპანაძე,  
58-ე საშუალო სკოლა.



# საქართველო

მ ო ზ ო ნ ი ა

მღიმიელი დადინახე. შიოს ვიცნობდი, რადგან ჩვენსა დადიანთა ხოლმე, „რა ამბავია, ქალი“, მითხროს სიცილით, — რედუქციის „ჭარჭარის“ მისდევინებარ, მწერლობა ხშირ არ დაიწყეთ.“ არა ვიცო, რადაც დავწერე, — ვუპასუხე მორცხვად, — ვერ გავებდე შიგ შესვლა და უკანვე მიმსქეს-მეთქი.“ შიომ წამათამაშა, შეიძლო ყარი და შემოყვანა. იქ, მაგიდასთან, ხანში შესული ქალი იჯდა და ქალაღმდეგ ჩასჩერებოდა. იგი თურქულ „ნაჯალდუს“ რედუქტორი მართად დემურია იყო. მას შიომ უთხრა: — ეს ქალი მოგიყვანე, მოთხრობა დაუწყებიაო. მართამა გამომართეთ მოთხრობა, თან მოხხრა: ისე ცქვილად იცქირებე, ალბათ კარგ რაჟეს დაწერილი. წაიკითხა. მერე შემომხედა და მეიხსია, რატომ გვიარი არ მოგიწერიო? მე ვუპასუხე: ოღონდ ვამოდგეს და გვიარის მოწერა და მინუნელობა აქვს-მეთქი. მართამა და შიომ გაიციენს. მაშინ შიომ თქვა: თუ გვიარის მოწერა არ უნდა, ცქვილად მოვაწერო. მართლაც, ის მოთხრობა ცქვილად ხელმოწერილი დაიბეჭდა და მას შემდეგ სულ ცქვილად ვაწერ.

სე შურჩეგია ეს ფსევდონიმი შიომ მღიმიელს ანა ხახუტაშვილისათვის.

ის მოთხრობა წაუკითხავს აკაკი წერეთელს. იგი რედუქციის მოსულა და ცქვილით მოუკითხავს.

— რადგან იქ არ ვიყავი, — განაგრძო ანამ, — მართად დემურისათვის უთხოვია, გამაყვანიაო. მართამი თეთონი მოვიდა ჩემთან შინ და მოთხრა: აკაკის უნდა შენი გაცნობა. ამ აზრამ ფრთხილად შემახსა და ძლიერ გამახარა. წამიყვანა. მივედი იმ სასტუმროში, სადაც აკაკი იყო დასაინკუბული. სახეგამუშებელი ქალბატონი ტბილი იმილით კარგად მოვიგვებდა და თქვა: ააა, ეს მართლაც ცქვილი გოგონა ყოფილიყო. ხელი გამოწიწილია. მე თავის სკამზე დამსვა, თითონ კი საწოლზე ჩამოჯდა. შესაუბრა ჩემს მოთხრობაზე და მომიკვირებო და ამილილოცა. აკაკი დამელაპარაკა აკაკიმ დამილილოცა! — ჩემს სიჩაბულს საზღვარი აღარ ჰქონდა.

რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ეს ფსევდონიმი — ცქვილი უკვე აღარ შეეფერებოდა ანას. შევტყუე. თითოთვც აღარ მოსწონდა, აბრტომ გავებდე და ვუთხარა: ნაწილით თქვენი ვფარით და სახელთა წაუთმეთქი. ამაზე ასე მიპასუხა:

— ეგ სხეებმაც მირჩინა. მაგრამ ილი ხანია, რაც ცქვილად ვაწერ, ამათ მიცნობს მკითხველი და ახლა ანა ხა-

ჩემს ბავშვობაში ქურნალებში „ჭაჭილსა“ და „ნაჯალდუსი“ ხშირად გვითხულობდნენ ხოლმე პატარა მოთხრობებს, რომელთაც ვატარი იყო ცქვილი.

ბავშვებმა არ ვიცოდით, ვინ იყო ეს ცქვილი: ქალი თუ კაცი. მე უფრო კაცი მიგონა. ჩემებურად წარმოდგენილიც ვყავდა: ახალგაზრდა კაცი, პატარა ტანისა, მოძრავი, სხაპასხუებით მოლაპარაკე, ერთი სიტყვით, მუსუნენარი.

გვიდა დრო. თბილისში რომ ჩამოვედი, თითქმის ყველა დისპუტს ვესწრებოდა მწერლობა სასახლეში. ჩვენ, ახალგაზრდები, ფეხზე დასადგომ ადგილს თუ ვეძებოდი, ამითაც კმაყოფილი ვიყავით. სულ უკან ვდგებოდით ხოლმე.

1928 წლის შემოდგომა იყო. მწერლობა სასახლეში დისპუტი მიმდინარეობდა. როგორც ყოველთვის, ახლაც უკან, კარებთან დიდები. წინა რიგებიდან ქალის ხმა გავიგონე: ცქვილი, ცქვილი! აქ მოდი, ჩემთან ერთი თავისუფალი ადგილიაო.

ეს ნაცნობი ფსევდონიმი რომ გავიგონე, ყურები დავცქვიტავ. მიხლოდა დამენახა, რომელი იყო ცქვილი. რაოდენ გამიკვირდა, როცა კაცის მაგივრად ქალი აღმოჩნდა. ქალი, მაგრამ როგორი ქალი! ჩემი ბავშვობის დროინდელი წარმოდგენა სულ შეიცვალა.

ცქვილი საშუალო ტანისაობის ქალი იყო, პირბადრი. ოდნე კოქლობდა. ოდნეაღ მიდიოდა, ცქვიტობისა არაფერი ეტყობოდა.

შემდგე, ხანში რომ შევიდა, უჯრო ხოლ არ დაიარებოდა.

პირადად მხოლოდ მაშინ გავიცანი, როცა „პიონერის“ რედუქციის მოთხრობა მოიტანა.

— თქვენ ახლა ჩემი მოვეწონებათ რამე? — გვიხარა, ვიდრე მოთხრობას ამოიღებდა.

— როგორ არ მოგვეწონება! მობრძანდით, მოგვიტანეთ. თქვენ რომ არ მოხვდით, ჩვენ თვითონ მოვალით თქვენთან, — ვუთხარა. იმილით შემომხედა.

შევატყე, ნასიამოვნები დაჩა ჩემი პასუხით.

თავიდანვე ყურადღება მიიქცია მისმა მეტყველებამ, წმინდა ლიტერატურული ენით ლაპარაკობდა. რედუქციის მოსვლისთანავე გავიგე მისი ნამდვილი სახელი და გვარი — ანა ხახუტაშვილი. რამდენიმე წლის განმავლობაში ისევე ცქვიტის ხელმოწერილ ქვეყნდებოდა მისი მოთხრობები ჩვენს ქურნალებში. მხიარული ლაპარაკი იცოდა. თვითონ შევიღარა ჰყავდა და, მოთხრობას რომ მოიტანდა ხოლმე, ასე მოგვპართავდა:

— ა, შვილო, მოთხრობა მოგიტანე, — ამ სიტყვებს სიცილით გმეცტყადა, მერე უტყებ წარს შეიკრავდა: — არ დამიწუნოთ, თორემ, იი ჯიხია! — და თავის ლაპარაკს ხელგაღწევენდა ასწავლა. მერე ისევე გაიღვივებდა: — მართლა საჩხუბრად კი არ მოვსულვარ!

როგორც ერთ-ერთი საუკეთესო საბავშვო მწერალი, ანა ხახუტაშვილი დიდხანს იყო ქურნალი „პიონერის“ საჩუქრად იყო კოლეგის წევრი. ახლოდგომში, როცა კარგად დავუშეგვდილი ერთმანეთს, ვკითხე:

— ეს „ცქვილი“ რატომ დაირქიეთ? რომ ვერაფერი ცქვიტო ხართ? ხეშრობითი დამიყვანა, ჯიხიაც შემართა თავისებურად, მაგრამ მერე მოფერებთ მოთხრა:

— შვილო, გეხუმრე. შენა გგონია, სულ ასეთი ვიყავი თავიდან? რაკი გინტერესებს, ვიამბობ. 1907 წელი იყო. იმ წელს ქურნალი „ნაჯალდუსი“ ერთი მოთხრობა წავიკითხე. ვითქვინე: ამისთანა განა მე ვერ დავწერ-მეთქი? კალმს ხელი წამოვიკვლე, დავწერე. სათაურად დავაწერე „მობრძანებულუბა“. წაიღე რედუქციისში. აუყვი რედუქციის კიბეს, შეამღე რომ მიგედი, ისევე უკან მოვტრიალდი. მაგრამ სიჭაჭეტი გადამელოდა და არ მიშეგბდა უკან. ბოლოს მივადექი რედუქციის კარს. „შეიგინე შესვლა მაინც ვერ გავებდე. ვიდექი ერთხანს და ისევე გამობრუნებას ვაპირებდი, რომ კიბეზე ამომავალი შიომ

ხუტაშვილი რომ გამოჩნდება, ვილას დამწყები მწერალი ვეგანები.

— ამის ადვილად მოგვლება, — ეკსახარი. — ჭერ ერთი, თქვენი მოთხრობა დამწყებისას არ ეგვანება და, გარდა ამისა, მოგაფეროთ ანა ხახუტაშვილი და იმეი ცვიტიცი მივაყროთ.

ამის შემდეგ მის მოთხრობებს ასე ვაქვეყნებდით რამდენიმე წლის განმავლობაში, ბოლოს კი პირთა ანა ხახუტაშვილს აწერდა.

ანა უმეტესად საბავშვო მოთხრობებს წერდა. თვითონ ადრე მასწავლებლად მუშაობდა. კარგად იცოდა ბავშვების ხასიათი და მოთხრობებშიც სიმართლით, დამაჯერებლად გადმოსცემდა მათს მოქმედებას, ურთოვრთლად მოყიდებულბას.

ანა ხახუტაშვილი ხანდახან მუშაობდა პერიოდში დიდი ვატიცებით მუშაობდა ერთ დღეაზიან ნაწარმოებზე. იგი ამ ნაწარმოებში აღწერდა იოსებ ლალიაშვილის ცხოვრებას, რომელმაც თბილისის სემინარიაში აუტანა რეპორტების გამო მოკლა მისი ნეკეტორი ჩუღდცი. ანა, როცა რედაქციაში მოვიდოდა, ყოველთვის გვიყვებოდა რომელიმე ეპიზოდს ამ ახალ ნაწარმოებიდან. პირველი წიგნი დათავრა და გამოსცა ცოდვი. იგი მკითხველმა მოიწონა.

— ახლა იოსებ ლალიაშვილზე მეორე წიგნის წერას უნდა შევუდღა.

— მითხრა ანამ პირველი წიგნის გამოცემისთანავე.

მეორე მთავრე მსოფლიო ომი დაიწყო.

საბავშვო გაზეთისა და ჟურნალების რედაქციები დაიხურა. ომის შემდეგ კვლავ იწყო გამოსვლა ყველა ჟურნალმა და გაზეთმა. მე ისევ საბავშვო პრესაში დავიწყე მუშაობა. როგორც კი შეგებდი ანა ხახუტაშვილს, მაშინვე ვკითხვ:

— პატრეცემულო ანა, „იოსებ ლალიაშვილის“ მეორე წიგნი დათავრეო?

— მასობები მოგროვებულ მაქვს და, რაკი კვლავ მოვეწყარი მშვიდობიან ცხოვრებას, ახლა შევუდღები მის წერას.

ამის შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ გამოქვეყნებით არაფერი გამოუქვეყნებია მეორე წიგნიდან.

ერთხელ ანამ მორბილად მოთხრობა მოაქტანა „პოინტის“ რედაქციაში. მაშინვე მასთან ერთად წავიყიასხე. მომეწონა, მაგრამ მისი სათათური არ მეჩვენა შესაღვრისი. ვიცოდი ანას ხასიათი და ამიტომ ჭერ შორიდან დავუწყე ლაპარაკი, მოვეყვი მოთხრობის ქებას. ის ბუღალანში მოგ-

დებდა ყურს, ბოლოს ქებას მივაყვილო:

— პატრეცემულო ანა, იმ სათათურს უნდა მოვეუხერხოთ რამე.

— როგორ, არ მოგწონს?

— თქვენ მოგწონს?

— შეილო, როგორ დააპარაკებინო? რომ არ მიწონდეს, არც დავარქმევდლი.

ამის შემდეგ პირდაპირ ვუთხარი:

— ანა, ასე კარგი მოთხრობა და ამისთანა სათათური?

ჭერ წარბშეყვრით მომპართა:

— როგორ, შენ მე მასწავლი რა უნდა დავარქვა მოთხრობას? — მერე უყებ გასხა წარბები, სახეზეც ღიმილი მოეფინა, ჩემკენ გადმოიწია ან ხმადალა წამიხურჩელა:

— კი, შეილო, გამოვეყვებით. მაგრამ რა დავარქვათ?

რაკი დამთანხმა, მოთხრობა ცოდვი ჩავათავილე და მორიდებულად მივმართე:

— „დღის დილილი“ არ მოგწონს?


— კარგია, შეილო, კარგი, დავარქვით.

ანა ხახუტაშვილი თბილისში ათარბეგოვის ქუჩაზე ცხოვრობდა. ბოლი ხანებში, ცოტა არ იყოს, გარეთ გამოსვლა უჭირდა, ამიტომ შინ ვეყვოლით ხოლმე მასალბის წამოსაღებად. რომ მივიდოლით, მობობდიშებდა, როგორ გაწუხებოთ, მაგრამ ჩვენ, რედაქციის მუშაეები, დეაწლიწილ მწერალიან შინ მისვლას შწუხებდალ კი არა, ჩვენს მოვალეობად ვივოლიდოთ.

სამაოდ ხანდახმულ ანას ახალგაზრდასმე მხევიდრა მუდად უხარობდა. ერთხელ გორის მე-3 სკოლამ მიგვიწვირა სახალალო ზეიმზე. ანას გარდა იქ იყენენ: ნინო ნაყაშიძე, გიორგი ქუჩიშვილი, ილია სიხარულიძე, მაყვალა მრეველიშვილი, ერეკია ქარბელიშვილი. ყველასაგან გამოირჩეოდა ანა ხახუტაშვილი თავისი მხიარულებით. ამ მხიარულების მიზეზი მაშინ გავიგეთ, როცა თვითონ თქვა:

— მე აქ სტუმარი კი არა, მასპინძელი ვარ.

მართლაც მასპინძელივით იქეოდა, გვაცნობდა გორის ღირსშესანიშნავ ადგილებს, გველაპარაკებოდა იქაურ ძველ მოღვაწეებზე.



ანა ხახუტაშვილი

თვითონ გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევიდან იყო და უხაროდა თავის ბავშობისდროინდელ ნაცნობ ადგილებს რომ ხელდავლა.

ანას ძალიან უყვარდა მეჯვრისხევი, ზაფხულბით ყოველთვის იქ იყო ხოლმე. გულით გვეპატრებოდა თავის სოფელში. მე ყოველ დაპატრებებზე ვეუბნებოდი, სხვა დროს ვესტუმრებოდა-მეთქი. ბოლოს იქ მოსვლამ მაშინ მომიწია, როცა იგი ცოცხალი აღარ იყო. ეს მოხდა ანა ხახუტაშვილის გარდაცვალების წლის თავზე, 1961 წელს. მეჯვრისხევილებმა თბილისიდან მიგვიწვიეს მწერლები: მარჯანი, როლიონ ქორტია, ხუტა ბერუღლავე, გიორგი კაჭახიძე, ანა დვინიაშვილი და მე.

მეჯვრისხევიში ანა ხახუტაშვილისდმი მიძღვნილი დიდი ლიტერატურული საღამო გაიმართა. ვეკლავრით იგრანობოდა, თუ რა დიდ პატივს სცემდენ მწერალს თანასოფლელები. „მართალია, ანა დიღუბის პანთეონის წმინდა მიწაში განისვენებს, მაგრამ მისი სოფენა ჩვენს გულში ინახება“, — ამბობდენ ისინი. იმ საღამომზე მეჯვრისხევილებმა მთიბოცეს, ჩვენს სოფლის სკოლას ანა ხახუტაშვილის სახელ დავარქვასო. ეს სურვილი კიდევ შეუტრულდა.



მამა სამსახურიდან აღერე დაბრუნდა. დღეს ახალ ბინაში გადავდივართო — შემივსოლისთანავე მოგვახარია. ჩემი უფროსი დამამა მამას გვერდით ათოვდა. დიდ ფაქიფუტკში იყვნენ. ათავისუფლებდნენ კარადებს, შლიდნენ საწოლებს, ყუთებში ალაგებდნენ ნივთებს.

გული შემეკუმშა: დედა გამახსენდა. როგორ მოუთქმნდა ვიღოდა ამ დღეს. გვეპირდებოდა, ახალ ბინაში ყველას თქვენ-თქვენ ყუთებს მოგვცემოთ. ძალიან მიმძიმდა ჩემი ბინის დატოვება. აქ ყოველი კუთხე დედას მაგონებდა. ხანდახან ისე მეჩვენებოდა, თითქოს ისევე დაფუთვულებდა!

— შენ რაღას გარჩებულხარ, წიგნები მაინც ჩაალაგე. — მითხრა მამამ ოდნავი საყვედურით. დედის გარდაცვალების მერე მამა დღეს პირველად გნახე ასე გამოცოცხლებული. სამუშაოდან რომ ბრუნდებოდა, ნაღვლიან თვალებს გვარდებდა. რაიმე საქმეს გამოწახავდა ხოლმე და ჩვენი ვეინძობდა. ხან მოაგირის ეზამაგებდით, ხან სამარაგულის ვალაგებდით, მეორე დღისთვის კერძს ეამზადებდით. მამის სიტყვა კანონია! ყუთი ავიღე და წიგნების ჩალაგება შევწყვიტე. ჩემი ძველი სათამაშოებით სასვენ მუყაოს ყუთიც, დედას რომ ისე სათუთად ჰქონდა შენახული. თაროდან გამოვიღე, კახათი გადავუჭირე და წიგნებით სასვენ ყუთს ზემოდან გადავაყარი, ამისობაში მანქანაც მოვიდა, სასწრაფოდ ავიბარე და გადავადიო.

ახალ ბინაში შევიასპობდი თუ არა, თვალის სულ მეზობლის კარისკენ მეჭირა, მინდობა გამეგო, ჩემი ტოლი ბავშვები ჰყავდათ თუ არა. დღამემაღლე სულ ვუთვალავალუბდი, მაგრამ შათი ბინის კარი არ გაღებულა.

მამამ, მე და ჩემს ძმას, საწერი მაგვიდა მეზობლის საზიარო კედელიდან დავეცა. ჩემი წიგნებით სავსე ყუთი ახლოს მივარჩიე და ამოლაგებდა ვიწყე. უცებ მეზობლის ბინიდან ქალის ხმაძალი ლაპარაკი შემომესმა: — მოუსვენარი ხარ, მოუსვენარიო, — ვილაყას უსაყვედურებდა. ჰყოლიათ ბავშვი, — გავიფიქრე გულში, — ნეტავ, ჩემი ტოლია თუ არა, გოგონა თუ ბიჭი?

დღითი, სკოლაში რომ მივდიოდი, მეზობლის კარი ღია იყო, ჩემდუნებურად ოთახში შევიჭყიტო, ფანჯარის რაფაზე იებიბი სასვენ თიხის ჯარბი იღა. თვალის მომტაცია. იმ ძალიან უყვარდა დედას...

— მოგვინდა? — ზოუდონდნულად წამომადგა ოთახ მეზობელი ქალი და ყვავილებზე მანიშნა. — ჩემმა ბიჭებმა დაბიოკიდეს, — მის ხელში ჩანთა ეჭირა, შიგ რძით სასვენ ბითლები ეწყო.

— სად არიან თქვენი ბიჭები? — მორიდებით ვკითხე.

— სკოლაში! — დამილით მომიგო მეზობელმა და სახეზე დამაქცერდა, ოთქის გამოცნობა უნდოდა, როგორი ბიჭი ვიყავი.

კარის მეზობელი ქალი ძალიან მომეწონა, განსაკუთრებით — მისი ღმილი...

იმ სილამის ვაკეთებოდა რომ ვაზნაღებდი, კიდევ მომესმა მისი ალერსიანი ხმა, — „მოუსვენარი ხარ, მოუსვენარიო“. ამხანაგებს ვახარე — ჩემს მეზობლად ბიჭები ცხოვრობენ, მაგრამ ჯერ თვალის არ მომიკრავს, უთენია გარბინან სკოლაში, ხვალ კვირა და უთუოდ ენოში ჩამოვლენ სათანაშორ და იქ გავიციან-მეთქი.

კვირას მივიღე დღე ვუდარაჯე. საღამო ხანს, როგორც იყო მეზობლის კარი გაიღო და ისევ ის ქალი გა-

მოვიდა, ჩითის ლამაზი, რუშებიანი წინსაფარი ჰქონდა აფარებული.

— რატომ გაცვია ქუქუჩიანი ფეხსაცმელები, დამე თავებშია რომ სრგებარონ არ გეშინია? — მკითხა და გამიღიმა. ფეხსაცმელებზე დავიხედე და გავწითლდი.

— გივი, მოდი აქ, — ხელი მომიკიდა. — ბოლოს და ბოლოს ერთმანეთი ხომ უნდა გავიცნოთ კარგად, კარის მეზობლები ვართ. — სახელი რომ დამამას, ძალიან გამოვიკირდა, ნეტავი, საიდან იცის-მეთქი. სახლში შემიყვანა. ვიფიქრე, ახლა კი ნამდვილად ენახავ ვიღებ-მეთქი. ოთახში ტახტზე ონხუცი ქალი იწვა. იქვე სავარემელზე კი ახალგაზრდა კაცი გარეთის კიბისუბლოდა.

— გაიცანი, ეს ჩვენი ბატარა მეზობელია. — უთხრა ქალმა და წარმადგინა. — სახელად გივი ჰქვია. — კარგი ბიჭი ჩანს. — გადმოხედა მისხუცმა და თხელი, დამეჭმარა ხელი გამომიწოდა. ნაბიჯი უხეხულად გადავვი წინ და ხელი ჩამოვარდეთი.

— გაიზარდე, — მითხრა აღერესინად.

— ქიდაობა იცი? — მკითხა კაცმა. მე თანხმობის ნიშნად თავი დავიხუცი. იგი ძალიან ჰგავდა სპორტსმენს, მოკლესახელოებიანი ლურჯი მისხულა და რეტიუზი ეცვა.

აღერ ვიცოდი ფეხები და დამემალა. გავიკოლოდი იატაკზე ჩემი ცხოვრებადანიცელი ფეხსაცმელი უფრო მუქყინანი და დაბრტყილები ჩანდა. თვალს აქეთ-იქით ვაიციკებდი. ყოველ წუთს ველოდი ბიჭების შემოსვლას, ალბათ ძალიან სასაცილო ვიყავი. მოხუცი ლოგინზე წამოვიჯდა და რაღაცას მანიშნებდა. მივხედე — დაჩქირო, — მეგატყებოდა. — რატომ წამოჩქი? დიდი მოუს-



განაბრის ერთი დიდი ბორცვი აღმართული. ყოველი მხრიდან კარგად მოჩანს ეს ბორცვი. თამარ მეფის ჯარის ფეხის ნაფხეკი, ასე ამბობენ გადმოტყეობ.

— ფეხის ნაფხეკი! — გავიკვირე.  
— დიხა. თამარ მეფის ჯარი თურქეთთან საზღვრის გასამაგრებლად საიბრეთისაკენ მიდიოდა თურმე. მთელ გზა წვიმისა და ტალახში უფლოთ. იმ ადგილას, რომ მოსულა, სადაც მთა-ბორცვი აღმართული, წვიმის გადაუღია. აქ დაბანაკებულან, შეუსვენებია, ტალახიანი ფეხსაცმელები დაუფხეკიათ, ცტა შენსაკრებულნი და გზა განუგრძობია. ეს გორა იმათი ფეხსაცმლის ნაფხეკი ტალახისაგან აღმართაო. შემდგომ ამ გორაზე ადგილობრივ მცხოვრებლებს თამარ მეფის სახელობის პატარა ეკლესია აღმართავთ და ეს ადგილი წმინდა ადგილად მიუჩნევიან. ძველად თურმე იქურობა მოვლოლი და გამწვანებულ იყო, მაგრამ სპარსელებს, ერთ-ერთი შემოსევის დროს, ხეები სულ ძირიანად ამოუღებრკვეთ, მიუთხოვრებიათ და როგორღაც გაპარული ეკლესიის კედლები და სახურავი დაჩრინილა. ჩემს ბავშვობაში ეკლესია ისევ იდგა, ალბათ კიდევ აღადგინეს, გორათის ფერდობები კი ეკალ-ბარდლებით და მყუდრო ბუჩქნარით იყო დაფარული. ბილყები პირდაპირ ბუჩქნარს შუა მიიკვავებოდა. მაინც არ ვუბუბოლით და სათამაშოდ სულ იქ ვავიბოდიო...

ჩვენ მასწავლებელს ვაზაფხულობით ხშირად მიყვავდი გორათზე სასეირნოდ. მასსოვს, ერთხელ შაბათი დღე ღრუბლიანი გათენდა. სულ იმას ვანტრობდით, ნეტავი წვიმა არ მოვიდესო. მართლაც, გაცვეთილები რომ მთავრდებოდა, მზემ ღრუბლებიდან გამოაშუქა. ძალიან გავყვებინდა.

— წვიმდებ, გორათზე ვაზაფხულობის მასობრივად ყველაზედ ველოდებინა, — ვეთხრა მასწავლებელს. მასწავლებელი მოვემზადეთ და გზას გაუდგეით. ფერღობს რომ შევეყვითო, მაყვლის ბუჩქთან ბალახებში ის შევიწმენე, — ლურჯად ჰამკამებდა. არცინ დამასწროს-მეთქი, გაკქანდი და ბუჩქთან ჩავიმუხლე. ხელი ფრთხილად შევაბარე და მოვეწყვიტე; უცებ ზურგიდან ვილცამ ხელი მკრა და პირდაპირ მაყვლის ბუჩქზე დავეყვებ, მაყვლის წერილი ეკლები დაუზოგავად მსხველტუნებო. მაგრამ ის მაინც მაგრად შეჭირა ხელში. როგორც იყო გამოქვიტე, მასწავლებლთან მივიღე და ის მივაწოდე.

— ეს თქვენივეს მოვეწყვიტე, მასწავლებლო! — ვუთხარი და ყვავილი გათვალე. ხელზე ნაყარები მე-

წვიდა. თან არც იოლი გქონდა, არც სპირტი. მასწავლებელმა დაქვეითული ხელი გამისინჯა, ეკალი არცხეილი იყოს ჩარჩენილიო, თან მეხებია: ნუ გმინია, გორათი წმინდა ადგილია! და არაფერი მოგივარო. მაგრამ წმინდა ადგილია! ვერ მიშველა, სამაზზე ხელი შემისივდა და ცტა სიხეც მომცა, მას შემდეგ როცა ამ პატარა, ლურჯ ყვავილად აღინახავ, ყოველთვის ის ის მიღებს თვალწინ. — იღიმებოდა ჩვენი მესობელი.

— ახლა კი, გვიყო, წაიღე ეს და თავის ადგილას დადე, — გამომიწოდებოდა ისევე ჯამი. დედაც გვიკარს შემძის ხოლმე. — ხომ კარგად მსწავლობ? — შემეკითხა მოულოდნელად.

დავებინე, არ ვიცოდა რა მეთქვა, — მსწავლობ... სამეტიც მიწერია და ერთი ორიანიც, — უხერხულად ვევიწმუშენე.

— ორიანიც? ჩემი მოწაფეები სანიანს რომ მიიღებენ, იმ დღეს ცხვირპირი ჩამოსტრები.

— ნახვადის, შინ წავაღ, — ვთქვა და გულა-ნაბად ავიკარო.

— იცოდ, მეზობლობაში სამიანიც და ორიანიც არ გამოგვადგობ, — მითხრა და სარბამაღ გამომაიკლი.

შინ შევედი თუ არა, მამინეც ფეხსაცმელებს გეცი, იმაზეთ ვიყარე მე ხაყვრილი ვადვამარილე, სულ საჩუქრად დაიწვეს კრიალი.

მეო უე დღეს, სკოლიდან რომ მოვიდიოდი, ჭურის მოსაგვეწმი მოხუცი კაცი იებსა ყიდდა. ჯიბეები მოვიქექე და სამი ყონდა. ჩვენი ქარის მეზობლისათვის უნდა მიმერძოთია, უტკობა უყვარს იგი...

ბელზე ავტობუსის დაგვიბასთან არ იდგა ვამხარდა, ჩანთიდან კონენი ამოვიღე და ვაგუწოდე.

— გმადლობთ, გმადლობთ, — ჩამომარტობა და დაყნოსა.

— დღეს როგორ გუნებანზე ხარ, სანიანის კაცი ხარ, თუ ოთხიანის?

— დღეს, დღეს... — დამება ენა, — ქართულ წერაში ორიანი მივიღე, — ძლიერ ამოვლერღე, თან ჩემს თავზე ჯავრი მომივიდა, ნეტავ, ენაზე ვინ მეუწავა-მეთქი. არაფერი უთქვამს, ერთი კი უმომართაო თაყისი მომწვანო, წმინდანი თვალები და მოხალ, უსიტყვოდ განვაგრიტე გზა. სახლში რომ მივედიოთ, თაყისთან შემიყვანა. — აჰა, ამ კონებს ძაღვ შემიბოხენი, ვადაარჩიო, — მიიხრა და სამხარეულოში შემიძღვა. — თარი.

ვენარი ადამიანი ხარ, — უსაყვედურა მოხუცს ქალბა და ისევ დააყვინა. მე თვალში დავაყვით. აი, თურმე ვინ ყოფილა, მოუსვენებარი!

— ბიჭები შინ არ არიან? — ვიკითხე გაუბედვად.

— ვინ ბიჭები? — გაოცებული შემომამოხრა მეზობელი.

— თქვენი ბიჭები!... ხომ თქვით, იები ჩემმა ბიჭებმა დამიკრფესო. — ჰოო, — ვაგინა მას. — ისინი ჩემი მოწაფეები არიან. დღეს კვირადღეა, თუ ქალაქკარზე ვაიკირინეს, ალბათ ყვავილებს კიდევ მომიტანენ. დედა ავად მყავს, თორემ მეც მათთან ერთად წავიდოდა. — ჩვენი მეზობელი დედისთან მივიღე, ლოგინი ვაუსწორა და მერე იმ იებთ სავსე ქაბთან მიმიყვანა.

— მოდი, წყალო გამოვეცვლოთ. ხელავ, ზოგი უკვე დამქეპარა. — ქალბა ჯამი ფრთხილად აიღო და სამხარეულოში შევიდიო.

— გიცი, შენ ჯამში ახალი წყალო ჩაასხი და მოიტანე, — დამავალა. როცა ვეწითი სავსე ჯამი წინ დავუდღე, ჯერი ფთოლები ჩააწყრა შიგ, მერე იები ისე ლამაზად მიმიყვანა, თითის ხატავსო.

— ეს იები თქვენმა ბიჭებმა დაგვიკრიფეს, არა? — ვეღარ მოვიტომინე და ვკითხე.

— შენ მოგიწყვეტია შენი ხელით ზინდერაო? — მკითხა და თვალბემა ჩამაცქვარა.

— არა, არ მომიწყვეტია, — ვუთხარი და თავი ჩავლუნე, შემრცხვია: ამოღენა ბიჭს ჯერი ის ბუჩქი არ მენახა.

— მე კი ისე კარგად მასსოვს, პირველად რომ მოვეწყვეტე ია, — თქვა მან და ფანჯრადან სივრცეს გახრდა. — ის ქალაქი, სადაც მე მსწავლობდი, ტაფობზა ვაგუნებოდი. ხელისგულით ვამოლო ვაყენე, ქალაქის



ზე თიხის ჯამზე მინიშნა, ამაში ჩააწყვეო, თვითონ კი დედას მიხედა. ვცილობდი ლამაზად ჩაემწყო ჯამში იები, სწორედ ისე, როგორც ამას წინათ თვითონ მიმოფანტა, მაგრამ ვერ ვახერხებდი.

— ორიანი კიდევ რომელ სავანში გაქვს? — გამოძახა ოთახიდან.

— არითმეტკაში, — ჩაივლილულე და ცხვირი ლამის ჯამში ჩაეყავო...

— ორიანები აღარ გამაგონო! — მომიხაზოვდა და მხარზე ხელო ვადამგებია. — სად გაგონია, კარის მეზობელი არითმეტკის მასწავლებელი გყავდეს და არითმეტკა არ იცოდ. დახედე ამ იებს, ამა ერთი ფურცელი მოკლე ჰქონიდას და მეორე გრძელი, — მაშინ ხომ ია აღარ იქნება! მათიმეტკა ყველაფერში საჭიროა... საღამოს უსათუოდ გამოდი, ერთი უნდა ვნახო რა ბიჭი ხარ!

თავზარი დამეცა. ვიცოდი, შეერცხებოდი. დედის სიკვდილის შემდეგ სწავლის სულ შევეშვი ხელი. საშინაო დავალებას აღარ ვასრულებდი. რა ეშმაკი შემიჯდა, არ ვიცი, ბუღს ვერ ვუღებდი.

— ნახავდის, — წასასვლელად გავემზადე. — ამის მეტად აქეთ აღარ გამივინებდავ-მეთქი, გვიფიქრე ბუღში. ალბათ სახეზე შემამჩნია ვან-აფიქრი, მომიასლოვდა, მხარზე ხელი დამადო და მიიხრა:

— დღეს 7 საათზე გელოდები. არითმეტკის სახელმძღვანელო, რვეული და ფანქარი არ დავაგიწყდეს. შეეთანხმდით, ხომ?

— დიახ, — ავხედე მოკრძალებით. მას ღიმილი უჭროვდა ბაგეზე.

ღია კარიდან ფანჯრის რაფაზე იებით სავსე ჯამს ვავხედე. ია გამოცოცხლებულიყო, წყურვილი მოეკლა და ლურჯად კიბეებდა...

აჭარ-გურის სუქელზე მდებარე კურორტს ქსახელისკამის შესახებ არსებობს ასეთი ლეგენდა. გურის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა თურმე ულამაზესი ქალი, სახელად მარო. ერთხელ სოფელს თავს დასხმნის თურქები და მარო მოუტაციათ. სოფლის რჩეულ ვაჭარების მამინე იარაღ აუსხაათ, დასაჯენების უჩაადეს და დღევანდელი ზანშაროს მიღამოებში დასწევინა კიდევ ერთი ურჯულეობი დარწმუნებულან, რომ ქალის გატაცებას ვეღარ მოახერხებდნენ, ჯავრი იმით უყრიათ, რომ ლამაზი ასული მოუკლავთ და ზედ მიხეც სისხლით დაუყრითა: „ბაბ მარო“. ეს თურქულად ნიშნავს: „ნახე მარო“.

ლეგენდა ამ ვუთხის წარსულს ასახავს და ამით არის საინტერესო, მაგრამ ის ჭეშმარიტება როდია, მხოლოდ ლეგენდაა. სინამდლეში ბაბმაროს სახელწოდება სულ სხვაგვარად აიხსნება.

ზანშაროს შუაში ჩამოუღის მდინარე ბახვისწყალი, რომელიც მთებს შორის ვაკეს ქმნის. წყლის სანაპიროზე მდებარე ამგვარ ვაკეს ძველად მერეს უწოდებდნენ. ეს სიტყვა აჭარასა და გურიაში დღესაც იხმარება. მერე გეოგრაფიულ სახელადაც გვხვდება უძველესი ხანიდან. მაგალითად, მერე ხშირად არის ნახსენები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, რომელიც VIII-IX საუკუნეთა ამბებს მოგვიჩიხობს. მერე-საგან არის მიღებული აგრეთვე სოფლის სახელები — მერია (გურიაში) და მერეთი (ქართლში).

მერეს პარალელურად იმავე მნიშვნელობით ვხვდებით აგრეთვე მარა. ამ უქანასქელისაგან ნაწარმოებია სოფლის სახელი მარა-ილი (აჭარაში). აქედანვე არის მიღებული ბაბ-მარო, რომლის ბოლოკიდული იხმოვინი გეოგრაფიულ სახელთა მანაწარმოებელი სუფიქსია, შუაში კი ვ ბგერა არის დაკრებული. ამრიგად, **ზანშარო** მიღებულია **ბაზხ — მარა-საგან** და ნიშნავს მდინარე ბახვის (ბახვისწყლის) ნაპირას მდებარე ვაკეს (მარას ანუ მერეს).

**სახელწოდება** სოფელია ქართლში (ცეკოთენის ქარელის რაიონს, შედის ქარელისოცე სადაბო საზღოში). ეს სახელწოდება ნაწარმოებია გეოგრაფიულ სახელებში ძალზე გაყრცელებული ის სუფიქსით ზემან სიტყვისაგან, რომელიც წარმოშობით სპარსულია და უწყლო ადგილს ანუ უღანბნის ნიშნავს. ეს სიტყვა (სხვა-



დასხვა ფონეტიკური (ცვლილებებით) ქართულშიც გვხვდება ალორძინების ეპოქის მწერალთა თარგმნილთა თუ აორიგინალურ ობსტრუქტებში („ქილოლა და დამანა“, „ბახთიარ-ნამე“, ეასტანგ VI-ის ლექსები). მაგრამ საილოლოდ მან ქართულში ფეხი ვერ მოიკიდა, ვერ განდევნა ძველისძველი ქართული სიტყვა უდაბნო და თვითონვე დატოვა ასაბრეზი. ღღენისათვის ქართულ ენას შემორჩა ამ სიტყვისაგან ნაწარმოები ჩხოლოდ გეოგრაფიული სახელი **ბებნისი** (ბებან-ის-ი), რომლის მნიშვნელობაა „უწყლო ადგილი“, „უდაბნოსი“.

ლა ორი სიტყვისაგან შედგება: პირველი მათგანი — **ნარი** (ნარინ) ადამიანის სახელია, ხოლო მეორე სიტყვა — **ყალა** ციხეს ნიშნავს. ეს სიტყვა წარმოშობით არაბულია, ოღონდ ფორმა შეცვლილი აქვს სპარსულ-თურქული გამოთქმის მიხედვით (არაბულშია **კალა**, სპარსულ-თურქულში **ყალა**). ამრიგად, **ნარი-ყალა** ნიშნავს ნარის ციხეს.

**საქართველო** დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი დიდი მდინარეა, რომელიც სათავეს იღებს სვანეთის მთებში, გამოივლის ქვემო სვანეთსა და ლჩხუმს და ერთვის მდინარე რონს იმერეთ-სამეგრელოს საზღვარზე.

არსებობს ლეგენდა, თითქოს ამ მდინარეში ცხენები დაეხრჩო შემოსეულ მტრის ლაშქარს, რაც მათი დამარცხების მიზეზი უახლოა. ამბობენ, მდინარეს ცხენისწყალი სწორედ ამიტომ დაერქვა.

სხვაგვარი ახსნაც არსებობს: ამ მდინარის სათავეებთან, სვანეთში, მდებარეობს სოფელი **ცანა ანუ ცენა**. სწორედ ამიტომ მდინარეს პირველად ცენისწყალი უნდა რქმეოდა, რომელიც შემდეგ **ცხენისწყალად** გადაკეთდა (შეადარეთ მდინარის სახელები. დარქმეული სოფლების

მიხედვით: აქისწყალი, ბახვისწყალი, გუბისწყალი და სხვ.). **ცენა** (ცანა) მთის პატარა სოფელია, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ უნდა იყოს გაჩენილი და ძალიან საეკეთა, რომ უზარმაზარ მდინარეს მთელ სიგრძეზე სახელი ამ სოფლის მიხედვით დაერქმეოდა. ამავე დროს, სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის სახლისაგან გეოგრაფიულ სახელთა წარმოება ჩვეულებრივ მოეუენება. ამიტომ უფრო სარწმუნოა, რომ მდინარის სახელწოდება **ცხენისწყალი** თავიდანვე სწორედ **ცხენ** სიტყვისაგან იყოს ნაწარმოები.

ძველი ბერძენები ცხენისწყალს **ჰიპოს** უწოდებდნენ, რაც ქართული სახელწოდების ბერძნული თარგმანია. (ჰიპოს ბერძნულად ცხენს ნიშნავს). აქედან ჩანს, რომ ცხენისწყალს ეს სახელი უკვე შორეულ წარსულშივე ერქვა.

პროფესორი **ზურაბ პუშპურიძე**.

**ნ ე ნ ე ლ ა დ ი ძ ე**

**წაუკითხეთ ქაჭაროებს**

**ჭაუჭაუ ცანყინოს**

პავლემ გოგის გამოსტაცა დიდი ჭრელი ბურთი, არ დაუთმო სათამაშოდ ძმას არცერთი წუთით.

აღრიალდა გოგი, პავლემ არ შესაბარა წარბი, ბურთით ხელში სათამაშოდ, ის კიბეზე ჩარბის.

შეეცოდა ფისოს გოგი, უხიზრა: სუუ, გოგიტა! ბურთს მოვაბარებ დამით პავლეს.

დილით ჩუმად მოიტანა



იწილ და ბიწილ, სირცქვილია, წიწილი, გმში, თუ ანა გშია, იქნამ უნდა იწივლო?

**მოვიშვერავს ზურთოს**

მამალი მყავს ლამაზი, თავზერბა და ცეცხლა, ემტერება ნაგაზი, ეპარება ნელ-ნელა.

ახლოს არ გავაკარებ, იმ საცავედ მურიას, მოვიმარჯებ ხელში ქვევს, მოვიწყვედ მურიას...



**ჭეჭიძე ჭაუჭარია**

ჩანთით ხელში სიარული გაუძნელდა ბებოს. — მომე ჩანთა, წამოგიღებ, ეუბნება თეო.

და ბებიას გოგუცუნამ ჩამოართვა ჩანთა, იმ ჩანთასთან ჩვენი თეო ერთი ციქუნა ჩანდა.

# დავით



## ქლეკ პენელეკი

მხატვარი ლიმიტრი ზარაფიშვილი.

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მოხუცი ხელმწიფე, რომელსაც სამი მზეთუნახავი ასული ჰყავდა. ხელმწიფე ისე ძალიან მოხუცდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე აღარ ეწერა. მისი სახელმწიფო სამი სამეფოსაგან შედგებოდა. გადაწყვიტა ქალიშვილები გაეთხოვებინა და ეს სამეფოები მზეთევში მიეცა. სამეფოები თანაბარი არ იყო და ხელმწიფემ იფიქრა, ყველაზე უკეთესს იმას მივცემ, რომელსაც ყველაზე ძალიან ვუყვარვარო. მოიხმო სამივე ქალი თავისთან და ჭერ უფროს ასულს ჰკითხა: — აბა შვილო, მითხარი, ძალიან ვიყვარვარ?

— ისე მიყვარხარ, მამო, როგორც მტრედს უყვარს ხორბლის მარცვალიო, — მიუგო უფროსმა. შენ როგორღა ვიყვარვარო, ჰკითხა ახლა შუათანას. — როგორც ნიაკი ზაფხულის პაპანაჭება სიცხეშიო. — აბა შენ რადან მტყუცი, შვილო, — მიუბრუნდა მეფე ახლა უმცროს ასულს.

— მე, მამი, ისე მიყვარხარ, როგორც მარილიო. — უპასუხა უმცროსმა.

— როგორი გაბედე ამის თქმა! — განრისხდა ხელმწიფე. — ახლავე წადი ჩემი სასახლიდან და თვალთ აღარ

ღამენახო. ამოდ ტიროდა მეფის უმცროსი ასული, ამაოდ უხსნიდა ხელმწიფეს, რომ აღამიანებს ძალიან უყვართ მარილი, მაგრამ ვერაფრით მოიგო მშობლის გული. მამა! მისი სიტყვის გაგონებაც კი არ უნდოდა.

რაღა უნდა ექნა. მეფის ასული წავიდა სასახლიდან. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ უღრან ტყეს მიადგატყეში გზა დაებნა და იქიდან ვეღარ გამოაწო, დარჩა ტყეში. ღამეს ხის ფულეროში ათევდა, დღისით კი ჰკრეფდა თხილს, მაცვალს, მუჯლოს და ამით ირჩენდა თავს. ასე გავიდა თითქმის ერთი წელიწადი.

ერთ მშვენიერ დღეს ამ ტყეში რომელიღაც ხელმწიფის ვაჟიშვილი წამოსულიყო. სწორედ იქ გამოიარა. საღაც მეფის ასული მაცვალს კრეფდა. ვაჟმა თვალი მოჰკრა ქალიშვილს. ბუჩქებიდან მეფის ასულმაც შეამჩნია ვაჟი და გაიტყა. უფლისწული დაიდევნა, მეფის ასული ხის ფულეროში დაიმალო. უფლისწული ხესთან მივდა და დაიძახა: — ვინა ხარ მანდ, რას აკეთებო. შეშინებული მეფის ასული ვერხვის ფოთოლივით თრთოდა და ხმას არ იღებდა.

— ხმა ამოიღე, აღამიანი ხარ თუ ეშმაკი? თუ აღამი-



ანი ხარ, გამოდი, თუ ეშმაკი და — ჯოჯობეთამდე გვა გქონია — კიდევ დაუძახა ვაჟმა. მეფის ასულმა ახლაც არ უპასუხა. ვაჟმა მესამედაც სცადა: მხა გაშევი, თორემ ფულადიდან ძალით გამოგიყვანო. ახლა კი შეეშინდა მეფის ასულს და გამოვიდა. დაძინებულ და ქუჭუქიანი კაბა ეცვა, მაგრამ მის სილამაზესა და მშვენიერებას ვერაფერს აკლებდა. მან ვაჟს თავისი ამბავი უამბო. უფლისწული მეფის ასულის სილამაზით მოიხიბლა და თავის სასალღებში წაიყვანა, ჩააცვა თვალმარცხელი და მშვენიერული ოქროს კაბა, დაიწერა ჭვარი და გადაიხადა დიდებული ქორწილი. გადიოდა ღრე. ახალგაზრდა მეფე-დიდოვალს უსაზღვროდ უყვარდათ ერთმანეთი და ბედნიერად ცხოვრობდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს მეფემ უთხრა დედოფალს: — ახლა მითხარი შენი ამბავი, რატომ გამოგავიღო მამამ სასახლიდან, მაშინ ყურს კარგად არ გივადებოდა.

— კარგი, მოგიყვებით, — უპასუხა დედოფალმა და უამბო როგორ გაანაწყენა მეფე თავისი პასუხით.

— ძალიან კარგი. — უთხრა მეფემ. — ეს საქმე მე მომწონდა და ნახავ, მამამეფის თუ ისევ არ შეგირიადესო. იოლნად მეფე ამას რა გზით და როგორ აპირებდა, დედოფალს არაფერი უთხრა. ვაჟდა თავის ოთახში და მოხუც ხელმწიფეს წერილი მისწერა. სადღადა მოიბატონა.

მოხუცმა ხელმწიფემ წერილი მიიღო თუ არა, მეორე დღესვე ესტუმრა უცხო მეფის ექვსცხენიანი ეტლით. მეფემ სტუმარი სასახლის საუკეთესო დარბაზში შეიყვანა. იქ უყვე გაეშალათ დიდებული სუფრა, სიძე-სიმამრი სუფრას შემოუსხდნენ. მსახურებს ნაირ-ნაირი ნუგებარი საქმელები შემოჰქონდათ, მაგრამ, როგორც მეფისაგან ნაბრძანები ჰქონდათ, ყველა კერძი უმარილოდ იყო მომზადებული. მოხუცმა ხელმწიფემ ჭერ შეგანანდა გაუსინჯა გემო, იმდენად უგემური იყო, რომ ჰამას უმაღლეს მინებდა თავი. მარილი დავიწყებიათო, გაიფიქრა თავისთვის, მაგრამ რაც კი იფიქრა, შემწვარი და მოხარული, ასე გასინჯეთ, ღრევიც კი, ყველაფერი უმარილო იყო.

ვიღარ მოითმინა ბოლოს მოხუცმა ხელმწიფემ: — ეს რანაირი მწარეთული გყოლიათ, საქმელი უმარილოდ მოუშაადებია!

— მე ვაგონილი მაქვს, რომ თქვენ მარილი არ გყვართ და ვუბრძანე თქვენს პათივსაცემად კერძები უმარილოდ მომზადებინათ.

— ვინ ვიბხართ, რომ არ მიყვარს? საქმელს უმარილოდ რა გემო აქვს?

— თქვენმა ქალიშვილმა მითხრა, სასახლიდან რომ გამოვადეთ. — უპასუხა მეფემ. იმავე წუთში კარია გაიღო და დედოფალი შემოვიდა, მოხუცი ხელმწიფის უმცროსი ასული.

— ღმერთო დიდებულო! — წამოიძახა გახარებულმა ხელმწიფემ, — მომიტევე, მეილო, სასახლიდან რომ გამოვადეთ. მის შემდეგ სულ შენს ძებნაში ვარ, მაგრამ ამჟამად, ვეღარსად ვიპოვე...

რალა თქმა უნდა, მეფემ უმცროს ქალიშვილს მისცა ყველაზე საუკეთესო სამეფო, რადგან ისინა პასუხმა ყველაზე უფრო დაუდასტურა გულთბილი სიყვარული. ახალგაზრდა მეფე-დედოფლის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ისინი დღესაც ბედნიერად ცხოვრობენ.

# ყვანი



## ცივილილი ლამაზობისა პატარა ფოტარის დიდი შრომა



სათაურიდანვე ვსავაგბია რას მოგვითხრობს ეს ფერადილუსტრაციებიანი წიგნი.

